**ხელშეკრულება №94**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქედა 05.08. 2020 წ.

ერთი მხრივ **ქედის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის **ლევან გორგილაძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის (SMP200003218) საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონის დისტანციურად ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტში და მასში შემსყიდველის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა; CPV79952100

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება დისტანციურად 2020 წლის აგვისტოს თვეში,.

**2. უფლებები და ვალდებულებები**

**2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:**

2.1.1.მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

**2.2. შემსყიდველი ვალდებულია:**

2.2.1. უზრუნველყოს კონკურსის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურად ჩატარება.

2.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

**2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:**

2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.

**2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:**

2.4.1. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, დამუშავება-რედაქტირება, შესაბამის პორტალზე განთავსება;

2.4.2. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ რეჟიმში გასამართად შესაბამისი ვებ-პორტალი;

2.4.3. უზრუნველყოს კონკურსის კითხვებში მუნიციპალიტეტის (მისი ისტორიის, კულტურის, თანამედროვეობის თუ სხვა) შესახებ 3 კითხვის მომზადება, რედაქტირება და შესაბამის ონლაინ პორტალზე განთავსება;

2.4.4. ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ ფორმატში ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით.

**3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი**

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება განხორციელდება ღონისძიების ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

**4.მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადები**

4.1.მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 აგვისტომდე

4.2 ხელშეკრულება ძალაში და მოქმედებს 2020 წლის 01 ოქტომბრამდე;

4.2. ხელშეკრულების ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

## 5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

## 6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე,

## 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**შემსყიდველი**
ქედის მუნიციპალიტეტი
მისამართი: მ. კოსტავას ქ. #3, დ. ქედა
ს/კ 246762061
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. № GE24NB0330100200165022

**მიმწოდებელი**
შპს „ეტალონი-მედია“
თბილისი, წერეთლის გამზირი #116, დიდუბე პლაზა, ოფისი #201
ს/კ 204572024
სს „ბანკი ქართუ“
კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608

მერი

ლ. გორგილაძე

დირექტორი

LTD "ETALONI-MEDIA"

Digitally signed by LTD "ETALONI-MEDIA"
Date: 2020.08.05 12:02:19 +04'00'

მ.ღოღობერიძე